

# To the issue of fire safety of single- and double-channel tunnels for combined ventilation systems

Authors Lanchava O., Gvencadze I.

Publication date 2011

Journal Mining Journal

Description Summary. It is therefore important tunnel ventilation for avoiding smoke and toxic or for reduction their distribution during the fire in tunnel. During processing and planning tunnel ventilation system it's very important determination of ventilation system ability as for fire start as for developing its maximum power. In the previous work there is shown semi-transverse ventilation systems and transverse ventilation systems disadvantages which appears during the fire. Exactly in such situations motion direction of air and air consumption will be caused by fire and will not be depended on ventilators. As we determined the dynamic pressure launched by fire is at least 30 times more than most powerful ventilators which has been issued. Mentioned basic applies to also in such ventilation systems which contains two tunnels.

Volume 27

Issue 2

Pages 56-59

Publisher GEORGIAN MINING SOCIETY, GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY, LEPL G. TSULUKIDZE  
MINING INSTITUTE

## REFERENCES

1. UN, Economic and Social Council, Economic Commission for Europe, *Report TRANS/AC.7/9*, 2001. p. 59.
2. Храпов В.Г., Демешко Е.А., Наумов С.Н. и др. Тоннели и метрополитены. Транспорт, Москва, 1989. 383 с.
3. UN, Economic and Social Council, Economic Commission for Europe, *Report TRANS/AC.7/11*, 2002. p. 6.
4. A.Haack. Fire Protection in Traffic Tunnels: General Aspects and Results of the EUREKA Project, TUNNELING AND UNDERGROUND SPACE TECHNOLOGY, 1998, Volume 13, № 2. pp. 377-381.
5. Ланчава О.А., Гвенцадзе И.Т. К вопросу управления чрезвычайными ситуациями в транспортных тоннелях. «Транспорт», № 1-2 (37-38), Тбилиси, 2010. с. 18-21.

ISSN 1512-407X

# სამთო კუნძული


სამთოებრ  
სამთოებრ  
სამთოებრ  
ანალიზები  
რეზარისებადი

2(27)

Mining Journal  
Горный Журнал

2011

დაფუძნებლები – ОСНОВАТЕЛИ – FOUNDER



საქართველოს სამთო საჭრებულო  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი  
სსიპ გრიგორ ჭულევიძის  
სამთო ინსტიტუტი

ГОРНОЕ ОБЩЕСТВО ГРУЗИИ  
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ  
ЮЛПП ГОРНЫЙ ИНСТИТУТ Г.А. ЦУЛУКИДЗЕ

GEORGIAN MINING SOCIETY  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY  
LEPL G. TSULUKIDZE MINING INSTITUTE

გამოცემის იზატელი – PUBLISHER

ართვ. რ. სტურა - ПРОФ. Р.И. СТУРУА - PROF. R. STURUA

მთავარი რედაქტორი ართვ. ლ. მახარაძე  
ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР ПРОФ. Л. И. МАХАРАДЗЕ  
EDITOR-IN-CHIEF PROF. L. MAKHARADZE

სარედაქციო კოლეგია

ართვ. ა.აბშილავა, აკად. დოქტ. თ.ახვლეძიანი, ართვ. ა.გორგაშვილი, ართვ. გ. ბურნაზკი (ბულგარეთი), ართვ. ვ.გოგია, ართვ. ი.გუჯაბიძე (გმ. რედაქტორის მოადგილე), ართვ. გ.ვარშალომიძე, ართვ. ვ. ვლასაძე (რედაქტორის მეთაური), სამ. ვე. ერის მარტივი, ართვ. მ.გულიაშვილი (რედაქტორი), აკად. დოქტ. თ.უშერდებულია (აასესივებელი მდივანი), ართვ. ვ.ლომასაძე, ართვ. უ. მარტივი (აუგ), აკად. დოქტ. ღ.როგავა (გმ. რედაქტორის მოადგილე), ართვ. გ. სამხარაძე, ართვ. ი. სტურა (აროლინეთი), ართვ. რ.სტურა, ართვ. ღ.თალახაძე, ართვ. ნ.ვოლორაძე, აკად. დოქტ. ნ.ჩიხრაძე, ართვ. გ.ჭარტარია (რედაქტორის ვადონავი), სამ. ვენ. ვ. აკად. დევრ-გორ. ღ.ჯაფარიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

ПРОФ. А.В.АБШИЛАВА, АКАД. ДОКТ. Т.О.АХВЛЕДИАНИ, ПРОФ. А.Г.БЕЖАНИШВИЛИ, ПРОФ. Н.А.БОЧОРИШВИЛИ,  
ПРОФ. Е. БУРНАЗКИ (БОЛГАРИЯ), ПРОФ. Г.Х.ВАРШАЛОМІДЗЕ, ПРОФ. П. ВЛАСАК (РЕСПУБЛИКА ЧЕХІЯ), ПРОФ. Г.К.ГОГІА,  
ПРОФ. И.К.ГУДЖАБІДЗЕ (ЗАМ. ГЛ. РЕДАКТОРА), ЧЛЕН-КОР. НАЦ. АКАД. НАУКИ ГРУЗІИ Л.А.ДЖАПАРІДЗЕ, ПРОФ. Н.ІЛЬЯШ  
(РУМУНІЯ), АКАД. ДОКТ. У.Н.КАВТІАШВІЛИ, АКАД. ДОКТ. Т.С.КУНЧУЛІЯ (ОТВ. СЕКРЕТАРЬ), ПРОФ. М.В.КУРЛЕНІЯ (РФ),  
ПРОФ. Г.Н.ЛОМСАДЗЕ, ПРОФ. Ф.МАРКУІС (США), АКАД. ДОКТ. Д.В.РОГАВА (ЗАМ. ГЛ. РЕДАКТОРА), ПРОФ. Н.И.САМХАРАДЗЕ,  
ПРОФ. Р.И.СТУРУА, ПРОФ. И. СОБОТА (ПОЛЬША), ПРОФ. Д.Г.ТАЛАХАДЗЕ, ПРОФ. Н.Г.ПОПОРАДЗЕ, ПРОФ. В.А.ЧАНТУРІЯ  
(РФ), АКАД. ДОКТ. Н.М.ЧИХРАДЗЕ, ЧЛЕН. КОР. НАЦ. АКАД. НАУКИ ГРУЗІИ Т.Ш.ЯМАНИДЗЕ

EDITORIAL BOARD

PROF. A.ABSHILAVA, AC.DOC. TAKHVLEDIANI, PROF. A.BEZHANISHVILI, PROF. N.BOCHORISHVILI, PROF. E. BOURNASKI  
(BULGARIA), PROF. V.CHANTURIA (RF), AC.DOC. M.CHIKHRADZE, PROF. G.GOGIA, PROF. GUJABIDZE(DEPUTY EDITOR-IN CHIEF),  
CORR. MEMB. OF THE NAT. ACAD. SC. GEORGIA T.JAMANIDZE, PROF. N.ILIAS (ROMANIA), CORR. MEMB. OF THE NAT. ACAD.SC.  
GEORGIA L.JAPARIDZE, AC.DOC. U.KAVTIASHVILI, PROF. KURLENIA (RF), AC.DOC. T.KUNCHULIA (RESPONSIBLE SECRETARY),  
PROF. G.LOMSADZE, PROF. F.MARQUIS (USA), AC.DOC. D.ROGAVA (DEPUTI EDITOR-IN-CHIEF), PROF. N.POPORADZE, PROF.  
D.TALAKHADZE, PROF. N. SAMKHARADZE, PROF. J. SOBOTA (POLAND), PROF. R.STURUA, PROF. G.VARSHALOMIDZE,  
PROF. P. VLASAK (CZECH REPUBLIC)

რედაქციის მისამართი: 0175, თბილისი, ქართავას ქ. 77

ტელ.: (995322) 2365047 ვაქტ: (995322) 236-43-02; ვებსაიტი: [www.samtojurnali.ge](http://www.samtojurnali.ge)  
E-mail: mining\_journal@posta.ge lmakharadze@rambler.ru

АДРЕС РЕДАКЦИИ:

0175, ГРУЗИЯ, ТБИЛИСИ, УЛ. КОСТАВА, 77.  
ТЕЛ.: (995322) 2365047, ФАКС: (995322) 236-43-02,  
[www.samtojurnali.ge](http://www.samtojurnali.ge)  
E-mail: mining\_journal@posta.ge lmakharadze@rambler.ru

EDITORIAL OFFICE:

77, KOSTAVA STR., TBILISI, 0175 GEORGIA.  
TEL.: (995322) 2365047, FAX: (995322) 236-43-02,  
[www.samtojurnali.ge](http://www.samtojurnali.ge)  
E-mail: mining\_journal@posta.ge lmakharadze@rambler.ru

ეუროპი გამოიცის 1998 წლიდან. Журнал издается с 1998 года. Published since 1998  
რეფერატული ჟურნალი „ქრისტულ მუსტერი“

Реферируется в реферативном журнале и в "Грузинском реферативном журнале" Техинформа  
"Georgian Referential Journal" of TEKHINFORM

თემ. მეცნ. დოკტორი, პროფ. ი. ლანგავა, დოკტორანტი ი. გვარეაძე

## ერთ-და წრებირაპიანი კომპიუტერული სავანტილაციო სისტემების ხანძარუსაცრობის კვლევა

გვირაბის კენტილაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვამლისა და ტოქსიკური ნივთიერებების არინებისათვის ან მათი გავრცელების შესაძლებლობად გვირაბში მოძღვარი ხანძრისას. გვირაბის სავანტილაციო სისტემის დასაბუთებისა და დამუშავების მაზნით მნიშვნელოვანია კენტილაციის სისტემის უსწორული შესაძლებლობების დაგვეხმარებული როგორც ხანძრის საწყის სტადიუმზე, ისე მასი სიმძლავრის სრულად განვითარების დროს.

ნაშრომში განხილულია ერთგვირაბიანი სავანტილაციო სისტემის ნახევრად განვით და განვით სქემების სისტემური ნაკლი, რომელიც თავს იჩენს ხანძრისას. განვითარებული ძლიერი ხანძრის დროს ჰარჯი და მოძრაობის მიმართულება განპირობებულია ხანძრის არსებობით და დამოკიდებული აღარ არის კენტილატორზე. აღნიშნული ძროთადად კრეცლდება აგრეთვე ისეთ სავანტილაციო სისტემაზე, რომელიც ერთზე მეტ გვირაბს შეიცავს.

გაეროს პატრონაჟით დამუშავებული სარეკომენდაციო ხასიათის ნაშრომი [1] ევროპის ქვეყნების მთავრობებს მოუწოდებს გავრაბების საექსპლუატაციო ნორმების შეთანხმების შესახებ ამ უკანასკნელთან. ვარაუდობენ აგრეთვე დაბულებების გავრცელებას აშშ-სა და იაპონიაში. მასში აღნიშნულია, რომ მას შემდეგ, რაც რადიკალურად არის შემცირებული დიდი ტივირთამშევის სატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვის რაოდენობა, სავანტილაციო სისტემის განმსაზღვრები ფაქტორი არის ხანძრის შემოსხვევაში მისი გავლენა წვის პრილექტების მოცილებისათვის. ხანძრის სიმძლავრე აღნიშნულ ნაშრომში შემოფარგლულია 30 მეტავტონი.

ციტირებული ნაშრომით დაძლევული არაა კლასიკური მიღების ხარვეზი, რომელიც იმით არის გამოხატული, რომ სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით, გნივი და კომბინირებული სავანტილაციო სისტემები უპირობოდ არიან მარჩეული უფრო ეფექტურებად გრძივ სისტემასთნ შედარებით. კლასიკური მიღების მაგალითად შეიძლება მივუთითოთ ნაშრომი [2], აგრეთვე ყველა სახელმძღვანელო, რომლითაც ხდება ავტოსაგზაო გვირაბების ვენტილაციის სწავლება.

ამგარად, [1] ნაშრომის ავტორები აღჭურვილი არიან კლასიკური ცოდნით, მათ ხელთ აქვთ აგრეთვე ძლიერი ხანძრების შედეგების მცდარი ანალიზი სენ-გოტარდის, ფრეუიუს და მონბლანის გვირაბებში და აგრეთვე ფაქტები, როცა ვენტილატორები მწყობრიდნ არ იყო გამოსული, მაგრამ მსხვერპლი მაინც მოხდა, რადგან ვენტილატორებმა ვერ შეძლეს საჭირო ჰაერის მიწოდება დანიშნულების ადგილებზე. ანალიზის მცდარობა პირდაპირ ჩანს [3] წყაროდან: მე-9 პუნქტში აღნიშნულია იმის შესახებ, რომ ხანძრის კერიდნ 1–2 გზ მანილშე აღმოჩენილი იქნა 11 დაღუპული ადამიანი. არცერთ მათგანს არ ჰქონდა ფიზიკური ტრავმის ნიშნები. ყველა მათგანი

გარდაიცვალა ტოქსიკური კვამლის შესუნთქვის შედეგად. მე-8 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ ვენტილაციის სისტემა ფუნქციონირებდა გამართულად და ეფექტურად.

ჩვენს მიერ მოდელირებულმა ხანძრის სცენარებმა აჩვენა [3], რომ 30 მეტამ სიმძლავრის ხანძრის შემთხვევაშიც, ამ უკანასკნელის მიერ განვითარებული წევა მინიჭურ ერთი რიგით მაინც აღემატება ვენტილატორების მიერ განვითარებულ წევას ხანძრის სითბური პიკის მიღწევიდან პირველივე წამების შემდეგ, ხოლო პიკის მიღწევის დაახლოებით 5 წთ-ის ესაჭიროება. ამასთან ერთად, რაც უფრო დიდი სიმძლავრისაა ხანძარი, მით უფრო გვიან დგება პიკური მომენტი.

ამგარად, 30 მეტამ სიმძლავრის ხანძრის შემთხვევაში ყოველთვის კი არ აქვს უპირატესობა განვითარების განვით და კომბინირებულ სისტემებს გრძივთან შედარებით, არამედ ხანძრის დაწყებიდან პირველი 5 წთ-ის განმავლობაში, და ამ პერიოდში უნდა დამთავრდეს ევაგუაცია სიცოცხლის გადარჩენის მიზნით.

ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ჰაერის მოძრაობა უნდა შეიზღუდოს ან აღიკვეთოს იმის გამო, რომ იგი აღარაა კონტროლირებად, რადგან მის მოძრაობას უკვე განაპირობებს ხანძარი და არა სავანტილაციო სისტემა და ყველა სავანტილაციო სქემა ამ პერიოდის შემდეგ, გრძივად ან მასთან მიახლოებულად გარდაიქმნება ხანძრის გავლენით.

ჩვენს მიერ უკვე მიღებული შედეგებით, ხანძრის სიმძლავრის გავრცელება შესაძლებელია 100 მეტამ-მდე, ანუ ხანძრის დაწყებიდან პირველი 5 წთ-ის განმავლობაში სავანტილაციო სისტემა კლებადობით იმუშავებს 100 მეტამ სითბური სიმძლავრის ხანძრის შემთხვევაშიც, ხოლო ის, რომ ასეთი სიმძლავრის ხანძარი თავის პიკს მიაღწევს ვთქვათ 10 წთ-ის შემდეგ, უკვე საინტერესო აღარაა, რადგან ამ დროისათვის ევაგუაცია დასრულებული უნდა იყოს.

[4] ნაშრომში აღნიშნულია, რომ 4 მ<sup>2</sup> ფართობის ხელოვნურად წარმოქმნილი ხანძრის შემთხვევაში, გრძივი სისტემის პირობებში, სასუნთქად ვარგისი ჰაერი შენარჩუნებულია პირველი 3,5–4,0 წთ-ის განმავლობაში. წინამდებარე ნაშრომის შედეგებთან ერთად, აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ზომიერი (4 კმ-მდე) სიგრძის გვირაბისათვის გრძივი სისტემის გამოყენება სახანძრო უსაფრთხოებას არ შეამცირებს განვით და კომბინირებულ სქემასთან შედარებით, გვირაბში შეტყობინების გამართული სისტემის არსებობის პირობით. კერძოდ, შეტყობინების შედეგი იქნება ახალი სატრანსპორტო საშუალებების შეშვების აღკვეთა ხანძარმოღებულ გვირაბში, ხოლო უსაბორებელი პორტალის 4 კმ-მდე სიგრძის გვირაბში დასაფრინი ექნება მაქსიმუმ 2 კმ მანილი, რომლის დაფარვაც რეალურია საევაგუაციო დროის განმავლობაში, თუ ერთმანეთს შევადარებთ 3,5–4,0 წთ-ის ხანგრძლივობის

დროის შუალედს და 2 კმ მანძილის დასაფარი დროის მონაკვეთს ავტომობილის 50–60 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის შემთხვევაში.


როგორც ცნობილია, ავტოსაგზაო გვირაბების შენგაბლობისას კაპიტალური დანახარჯების შემცირების მიზნით აგებენ ორმხრივი მოძრაობის ერთ გვირაბს შედარებით მცირე კვეთის პარალელური შტოლნით ან მის გარეშე. უკანას ხელ შემთხვევაში გვირაბის თაღში ან სავალი ნაწილის ქვემთ აწყობენ სავანტილაციო არხს. შტოლნის ან არხის კეთი შეირჩევა პარტიის ხარჯის მიხედვით, რომელზეც დიდადა დამოკიდებული საექსპლუატაციო დანახარჯები. ცნობილია, რომ სავანტილაციო ქსელის დაპრესია იზრდება პარტიის ხარჯის კვადრატის, ხოლო ელექტრული ქსელიდან წაღებული სიმბლაურე – პარტიის ხარჯის კუბის პროპორციულად.

გვირაბის ვენტილაცია შესაძლებელია განხორციელდეს გრძივი, განივი და ერთ-ერთი კომბინირებული სქემით (იხ. ნახატი 1).

ერთგირაბიანი სისტემა, ნებისმიერი სქემის შემთხვევაში, არ გამოირჩევა უსაფრთხოებით გრძივოან შედარებით, რის გამოც მოძველებულია შეხედულებები მისი უსაფრთხოების შესახებ. კერძოდ, ერთგირაბიანი განივი სქემაც კი კლასიკური სახით (ნახ. 1, გ), რომელიც მიჩნეულია უსაფრთხოდ, რადგან გვირაბში პარტიის მცირე სიჩქარეები არის და თითქოსდა ხანძრის გავრცელება უნდა შეფერხდეს, სხვაგვარად გამოავლენს თავს ძლიერი ხანძრის შემთხვევაში.

ერთ- და ორგირაბიანი ნახევრად განივი სავანტილაციო სქემისას გაჭუჭყიანებული პარტიი გაიწოვება შტოლნის ან არხის პორტალებთან დამონტაჟებული ვენტილატორების მეშვეობით, რომელთა მიერ შექმნილი დეპრესიის ხარჯზე სუფთა პარტი შემოედინება გვირაბის ორივე პორტალიდან. გვირაბი და არხები დაკავშირებულია სავანტილაციო ლიობებით, რომელთა კვეთი ცვალებადია და მათი რეგულირებით შესაძლებელია სასურველი პარტგანაწილების მიღწევა.

ნახევრად გრძივი სქემის შემთხვევაში სუფთა პარტი დაიჭირხნება ვენტილატორებით, ხოლო გაჭუჭყიანებული გამოიდევნება გვირაბის პორტალებიდან. დანარჩენი ძალაში რჩება და 1, ბ ნახაზზე მხოლოდ “+” და “-” გაცვლიან ადგილებს. სარეკომენდაციო ხასიათის ციტირებული ნაშრომი [1] ასეთ სისტემას საერთოდ არ განიხილავს. მაშინ როდესაც, სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით ეს სქემა უფრო უკეთესია, რადგან ჭერში ამ დროს სუფთა პარტი გვაქვს.



ნახ. 1. გვირაბის სავანტილაციო სქემების განივი ჭრილი:

- ა – ერთგირაბიანი ნახევრად განივი; ბ – ორგირაბიანი ნახევრად განივი; გ – ერთგირაბიანი განივი;
- ბ – ორგირაბიანი განივი; 1 – სატრანსპორტო გვირაბი; 2 – სავანტილაციო არხი გვირაბის ჭერში;
- 3 – პარალელური შტოლნა, რომელიც წარმოადგენს სავანტილაციო არხს

ერთგირაბიანი განივი სქემისას (იხ. ნახ. 1, გ) გვირაბის თაღურ ნაწილში ორი არხი არის, ხოლო სუფთა პარტი სპეციალური გვერდითი არხებით შემოღის გვირაბის სავალი ნაწილის დონეზე.


საქართველოს გვირაბებიდან როგოს გვირაბი ნიავდება განივი სქემით – ორგვირაბიანი სისტემით (იხ. ნახ. 1, დ). თაღის ჭერში, მუდმივად ღია სავანტილაციო ფანჯრების გარდა, არის დამატებითი დაზურული ფანჯრები, რომელებიც ხანძრისას ავტომატურად უნდა გაიღოს მაღალი ტემპერატურის გავლენით პარტიის აღმავლი მოძრაობის შედეგად ან სენსორების მეშვეობით.

მოუხედავად იმისა, რომ ძლიერი ხანძრის შემთხვევაში ყველაფერი ისე არ მოხდება, როგორც საპროექტო გადაწყვეტაში არის გათვალისწინებული, როგოს გვირაბის ის უპირატესობა აქვს, რომ აյ ადამიანების ევაკუაცია შესაძლებელია სუფთა ჭავლით და მისი ვენტილაციის სქემის შეხამბა ახალ მონაცემებთან შედარებით გააღვილებულია.

იმავე პირობით, ანუ სავანტილაციო არხში ადამიანების გადაყვანის შესაძლებლობის შემთხვევაში, ნახევრად განივი სქემა ტექნიკურად გამოისადგევარია საევაკუაციოდ, რადგან მასში ჩვეულებრივი რეჟიმით გაჭუჭყიანებული პარტია, ხოლო სუფთა პარტით მისი “ავსება” მოხდება მხოლოდ სავანტილაციო სისტემის რეცირკულაციის შემდეგ. თუ გავითვალისწინებთ პარტისა და სატრანსპორტო საშუალებათა სიჩქარეებს შორის თანაფარდობას, აგრეთვე მოძრავი გაჭუჭყიანებული პარტის ინერციის გადალახვის საჭიროებას რეცირკულაციის შემთხვევაში, მაშინ უფრო რეალურია ხანძრის კურიდან ტრანსპორტით გასწრება ზომიერი სიგრძის გვირაბებში, ვიღრე რეცირკულაციის შედეგის მოლოდინი.

მთავარი კი ისაა, რომ რეცირკულაცია ძლიერი ხანძრის შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ტექნიკურად. რიკორის გვირაბის ერთი ფრთის სიგრძიდან გამომდინარე, პარტის ნაკადის 2 მ/წმ სიჩქრით გადაადგილების შემთხვევაში, იდეალურ პირობებში ამისათვის 7 წთ-ზე მეტია საჭირო, ხოლო როგორც აღინიშნა, 5 წთ-ის შემდეგ, დომინანტი გახდება ხანძრის მიერ განვითარებული წევა.

ჩვენთვის აქ უფრო არსებოთა რიკორის გვირაბის სავანტილაციო სქემის (იხ. ნახ. 1, ა და ნახ. 2) ხანძარუსაფრთხოების შესახებ არსებული მცდარი შეხედულების უარყოფა, რადგან ამ გვირაბის პირობებში ნაკადის რეცირკულაციას აზრი მაინც არ აქვს, თავი რომ დავანებოთ ტექნიკურად შეუძლებლობას. საქმე ისაა, რომ ადამიანების გადაყვანა არ მოხერხდება თაღის სავანტილაციო არხში.



ნახ. 2. რიკოთის გვირაბის ვენტილაციის სქემა ჩვეულებრივი რეჟიმით

განვიხილოთ ამ გვირაბის განივების სქემის მოქმედების პრინციპი ხანძრის შემთხვევაში (იხ. ნახ. 3), რასაც ჩვენც ვიზუარებდით.

თუ ხანძრის კერა არის 2 და 3 პუნქტებს შორის მარცხნა ფრთაზე, მაშინ 3 და მის შემდეგ განლაგებული ყველა საგენტილაციო ფანჯარა 40-ის ჩათვლით, ავტომატურად იქტება, ხოლო 2 ფანჯარა იღება მაქსიმალური კვეთით. შესაბამისად, მარცხნა ფრთაზე პარამეტრი მოძრავებს მხოლოდ 011°' და 022°' გზებით. ამასთან, 2 ფანჯარაში მოხდება პარამეტრის უფრო ენერგიული გაწოვა ჩვეულებრივ რეჟიმთან შედარებით, რასაც ზელს შეწყვობს აგრეთვე მაღალტემპერატურითი ნამწვა აირები. აღნიშნულის შედეგად კერის მიღმა 3 პუნქტიდან 40-ის ჩათვლით, მარცხნა ფრთაზე, პარამეტრის მოძრაობის მიმართულება ისეთი იქნება, რომ წვის ტოქსიკური აირები არ გავრცელდება, ხოლო მარჯვნა ფრთის სქემა მოქმედებს ჩვეულებრივი რეჟიმით. აյ იგულისხმება, რომ სახანძრო შეტყობინების სისტემას იმუშავა, მნიჭების შეშვება გვირაბში შეწყვეტილია, ხოლო კერის ორივე მხარეს მოძრაობა გახდება ცალმხრივი – პორტალებისაკენ.

დაახლოებით 2–3 წთ-ის შემდეგ ევაკუაცია დასრულდება. მარცხნა ფრთა ხელუხლებლად რჩება. მარჯვნა ფრთაზე მოხდება პორტალის ჩაკეტვა ლითონის კარით და ნაკადის რეცირკულაცია, რის შედეგადაც პარამეტრი გაწოვა იქნება მხოლოდ 2 და 3 ფანჯარებიდან (იხ. ნახ. 3) და მუშაობას დაიწყებს სახანძრო სამსახური, რომელიც კერას მიადგება ორივე მხრიდან. მეხანიკებს მუშაობას გაუადვილებს პარამეტრის შემცირებული ხარჯი, რომელიც უაგდადის უფრო ნაკლებ რაოდენობას მასში და დაიწყებს კერაზე.

ცხადია, რომ აღწერილი მოქმედების პრინციპი გულისხმობს ფანჯარების კვეთის ავტომატური სარეგულირებლი მოწყობილობების, ხანძრის აღმომჩენი სენსორების, მომხდარი ხანძრის შესახებ პორტალებთან შეტყობინების სისტემის და პორტალების გადასაკეტი კარგებების გამართულ მუშაობას.

შევნიშნავთ, რომ ყველა ნახაზზე წარმოდგენილი პარამეტრის ნაკადების მიმართულება განპირობებული არის ვენტილატორების მუშაობით. ხანძრის მიერ აღმრული და

ვენტილატორის დეპრესიები აღგეპრულად იკრიბება. ხანძრის წევა მოქმედებს ბუნებრივი წევის ანალოგიურად: მიმართულების თანხვედრისას მიწოდება იზრდება, ხოლო საპირისპირო მიმართულებისას მცირდება.

ხანძრის მიერ განვითარებული წნევის სიდიდე, თუ სავნენტილაციო პარამეტრის მივიჩნევთ იდეალურ აირად [5], შეადგენ 447,6-ს კა, რაც დაახლოებით 4-ჯერ აღმატება ატმოსფერულ წნევას, 30-ჯერ ყველაზე მძლავრი ვენტილატორების სტატიკურ წნევას, ხოლო 1000-ჯერ და უფრო მეტად რიკოთის გვირაბის ყველა ვენტილატორის მიერ განვითარებულ ჯამურ საერთო წნევას.


ხანძრის კერა გაძლიერების კვალობაზე მოითხოვს ფანგბადის ზრდად ახალ უდიუფებს. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ 1 და 2 სავნენტილაციო ფანჯარებში პარამეტრი იქნება არა ნახ. 2-ზე ნაჩვენები, არამედ საპირისპირო მოძრაობის მიმართულება. მარცხნა ფრთის ვენტილატორები გააგრძელებენ მუშაობას გაწვის რეჟიმით გადატვირთვის გამო ძრავას გადაწყვეტდე (ვენტილატორების საკმარისი სიმტკიცის პირობით). ამ ვენტილატორების გადარჩენა შეიძლება არხების ან სარქვების გადაკეტვით.

მაშასადამე, ძლიერი ხანძრის შემთხვევაში 2 და 3 პუნქტებს შორის, მარცხნა ფრთის ვენტილატორები სავნენტილაციო ქსელიდან უნდა გაითიშოს მათი გადაკეტვის გზით. ყველა შემთხვევაში ეს ვენტილატორები სავნენტილაციო ქსელზე და ნაკადის მიმართულებაზე გავლენას ვერ მოახდენენ.

ადვილი მისახვედრია, რომ ნამწვი აირები იმოძრავებს მეორე პორტალისაკენ გვირაბის სავალი ნაწილის გავლით. ამ შემთხვევაში გვირაბის სავალი ნაწილი და სავნენტილაციო არზი ფანჯარების ჩათვლით შეიძლება მივიჩნიოთ პარალელურ ქსელებად და მოთხოვ გავლილი პარამეტრის რაოდენობა დაგმაყოფილებს პარალელური ქსელების ძირითად კანონს

$$\frac{R_1}{R_2} = \frac{Q_2^2}{Q_1^2}, \quad (1)$$

სადაც  $R_1$  არის სავნენტილაციო არზის, ფანჯარების და ვენტილატორის ჯამური აეროდინამიკური წინაღობა;  $R_2$  – გვირაბის სავალი ნაწილის აეროდინამიკური წინაღობა;  $Q_1, Q_2$  – პარამეტრის მოცულობითი ხარჯის შესაბამისად



ნახ. 3. რიკოთის გვირაბის ვენტილაციის სქემა ხანძრის ჩაქონის რეჟიმში

სავარგულიაციო არხსა და გვირაბის სავალ ნაწილში, მ/წმ.

(1) ფორმულიდან ცხადია, რომ

$$R_1 Q_1 = R_2 Q_2. \quad (2)$$

მაშასადამე, როგორც არხში, ისე გვირაბის სავალ ნაწილში დეპრესიები ერთმანეთის ტოლი გაზდება და გაუტოლდება ხანძრის მიერ აღძრულ დეპრესიას. შესაბამისად, მარჯვენა ფრთაზე გვირაბის სავალ ნაწილში ჰაერის მოძრაობა არხში ექნება ნახაზზე 1 ნაჩვენების საპირისპირ მიმართულება. ამასთანავე მაღალი ტემპერატურის მქონე ნამწვი აირები დაწვავენ ვენტილატორებს, რომელთა გადარჩენა, მარცხენა ფრთის ანალოგიურად, შესაძლებელია არხების ან სარქველების გადაკეტვით. ცხადია, რომ მარჯვენა ფრთის ვენტილატორების რევერსირება განუხორციელებელია ხანძრის დეპრესიის გაცილებით დადი სიდიდის გამო.

მაშასადამე, არცერთი ვენტილატორი ხანძრის შემთხვევაში 5 წთ-ის შემდეგ თავის უსწორებიას აღარ შეასრულებს, ხოლო ნახევრად განივი სქემა ხანძრის გავლენით გრძივად გადაკეთდება. შესაბამისად, არაა საჭირო ასეთი ძვირადღირებული სავარგულიაციო სქემის გამოყენება მოცემულ გვირაბში. ჩვეულებრივი რეზიმით მუშაობისას, რადგან ნახევრად განვითი სისტემის ხანძარუსაფრთხოებაზე აქცენტირება გრძივ სისტემებთან შედარებით, არაი მართებული.

ამგარად, შევვიძლია დავასკვნათ:

1. ვენტილაციის გრძივ-განვით სქემას ახასიათებს სისტემური ნაკლი – ძლიერი ხანძრის შემთხვევაში მოცემული სქემა ავტომატურად გარდაიქმნება გრძივად.

**ЛАНЧАВА О.А., ГВЕНЦАДЗЕ И.Т.**

## К ВОПРОСУ ПОЖАРОБЕЗОПАСНОСТИ ОДНО- И ДВУХТОННЕЛЬНОЙ КОМБИ- НИРОВАННЫХ ВЕНТИЛЯЦИОННЫХ СИСТЕМ

Вентиляция в туннеле имеет весьма важное значение для предотвращения или ограничения распространения дыма и токсичных газов в случае пожара. С точки зрения выбора и разработки вентиляционных систем туннеля, большое значение приобретает установление функциональных возможностей систем вентиляции в случае пожара, как в начальной стадии его развития, так и в полном режиме его действия.

В настоящей работе показан системный недостаток полууперечной и поперечной схемы вентиляции для однотоннельной вентиляционной системы тоннелей, заключающегося в том, что при сильном пожаре направление движения воздуха, а также его расход определяется не вентиляторами, а тягой, вызванной наличием пожара. Установлено, что динамический напор этой тяги примерно 30 раз больше, чем общий напор самых мощных вентиляторов выпускаемых промышленностью. Отмеченное в основном распространяется на вентиляционных системах, содержащих более одного тоннеля.

2. გრძივ-განვით სქემის ეფექტური მუშაობის დროის შეუძლებელია სავარგულიაციო ნაკადის რევერსირება, რადგან ხანძრის შემთხვევაში აღიძვრება ძლიერი წევა, რომელიც დაახლოებით, 30-ჯერ აღემატება ყველაზე მძლავრი ვენტილატორის წნევას. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს მიწისქევეშა ნაგებობების ხანძარუსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტისას, სიცოცხლის გადარჩენისა და ხანძრის ლიკვიდაციის გზების დასახვისას.

3. ნებისმიერი სქემის პირობებში ერთგვირაბადანი სისტემისათვის შეუძლებელია სავარგულიაციო ნაკადის რევერსირება, რადგან ხანძრის შემთხვევაში აღიძვრება ძლიერი წევა, რომელიც დაახლოებით, 30-ჯერ აღემატება ყველაზე მძლავრი ვენტილატორის წნევას. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს მიწისქევეშა ნაგებობების ხანძარუსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტისას, სიცოცხლის გადარჩენისა და ხანძრის ლიკვიდაციის გზების დასახვისას.

4. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იქნეს სატრანსპორტო გვირაბებისა და სხვა მიწისქევეშა ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და მოდერნიზაციის საკითხების გადაწყვეტისას.

### ლიტერატურა

1. UN, Economic and Social Council, Economic Commission for Europe, *Report TRANS/AC.7/9*, 2001. p. 59.
2. Храпов В.Г., Демешко Е.А., Наумов С.Н. и др. Тоннели и метрополитены. Транспорт, Москва, 1989. 383 с.
3. UN, Economic and Social Council, Economic Commission for Europe, *Report TRANS/AC.7/11*, 2002. p. 6.
4. A.Haack. Fire Protection in Traffic Tunnels: General Aspects and Results of the EUREKA Project, TUNNELING AND UNDERGROUND SPACE TECHNOLOGY, 1998, Volume 13, № 2. pp. 377-381.
5. თ.ლამიავა, ი.გვირგვაძე. საგანგებო სიტუაციების მართვის შესახებ სატრანსპორტო გვირაბებში. ქურნალი “ტრანსპორტი”, № 2, ობილის, 2010. გვ. 8-9.

**LANCHAVA O., GVENCADZE I.**

## ABSTRACT FOR ONE AND TWO - TUNNELED COMBINED VENTILATION SYSTEM FIRE-SAFETY

It is therefore important tunnel ventilation for avoiding smoke and toxic or for reduction their distribution during the fire in tunnel. During processing and planning tunnel ventilation system it's very important determination of ventilation system ability as for fire start as for developing its maximum power.

In the previous work there is shown semi-transverse ventilation systems and transverse ventilation systems disadvantages which appears during the fire. Exactly in such situations motion direction of air and air consumption will be caused by fire and will not be depended on ventilators. As we determined the dynamic pressure launched by fire is at least 30 times more than most powerful ventilators which has been issued. Mentioned basic applies to also in such ventilation systems which contains two tunnels.